წერილის ნომერი:ბ/23301989
თარიღი: 09/09/2024

ადრესატი:

გიორგი გაზდელიანი
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა

ოქმი N 05

დ. ლენტეხი 9.09.2024

მიმდინარე წლის 9 სექტემბერს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ : სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ონიანი, კომისიის წევრები: კახა ლიპარტელიანი, დავით პირველი, მარეხი ონიანი, ირინა ლიპარტელიანი, გამზა ლიპარტელიანი და სხდომის მდივანი ნანი ბენდელიანი.

დღის წესრიგი: 1. ა(ა)იპ ლადო მუსელიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის , 2024 წელს 6 თვეში გაწეული მუშაობის ანგარიში.

/მომხს: მუზეუმის დირექტორი ი.ონიანი/

მოისმინეს: ლ. მუსელიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მუშაობის ექვსი თვის მუშაობის ანგარიში.

ქალბატონ ინგა ონიანმა მოახსენა სხდომას, რომ ლენტეხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სუბსიდია 2024 წელს განისაზღვრა 97, 400 ლარით.

თანამშრომელთა რაოდენობა გაიზარდა 3 ერთეულით, ამჟამად შეადგენს 20 ერთეულს.

ექვსი თვის განმავლობაში მუზეუმის ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა 495 -ს .

ამ ხნის განმავლობაში ჩატარდა თემატური საღამო ლარაშის ციხესთან დაკავშირებით.

ლარაშის ციხის შესახებ მოძიებული ფოტოების და წერილების მასალების ელექტრონული ვერსია გადაგზავნილი იქნა კულტურისა და სპორტის სამინისტროში.

შეიქმნა მუზეუმის საიტი ფეისბუქ გვერდზე, რითაც მუზეუმს შესაძლებლობა მიეცა განათავსოს სამუზეუმო შემეცნებითი და კულტურული ინფორმაციები.

ასევე ჩატარდა თემატური საღამო ძვ. სვანური ტრადიციის ,,ქუნარეშ"-ის შესახებ.

ჩატარდა კონკურსი სამუზეუმო ბილეთების მხატვრულ გაფორმებასთან დაკავშირებით, შერჩეული ვარიანტები გადაგზავნილი იქნა დასაბეჭდად.

მარტის თვეში , დიზაინერ მარიეტა ლიპარტელიანს მისცეს შეკვეთა, ქალის ძველი შესამოსელის შესარჩევად და შესაკერად.

აპრილის თვეში მოძიებული იქნა ძველი სამუზეუმო ექსპონატები, კერძოდ ფეხის საკერავი მანქანა, ძველი რკინის თოხი, ძველი საყოფაცხოვრებო ნივთები, რომლებიც უსასყიდლოდ გადმოსცა ივანე ლიპარტელიანმა.

მაისის თვეში ჩატარდა ღონისძიება ,,ღამე მუზეუმში" , ერთი კვირის განმავლობაში, შესაძლებელი იყო მსურველებისათვის ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება, ამავე დროს მოეწყო მხატვრობის სხვადასხვა ჟანრის გამოფენები.

26 მაისს ჩატარდა ღონისძიება საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით.

ივნისის თვეში უმასპინძლეს ეკომიგრანტებს, დამუშავდა და შესწავლილ იქნა საეკლესიო-ისტორიული ნივთები. აღნიშნული ნივთები , დამუშავებული და დანომრილი დროებით ინახება მერიის შენობაში.

ახალი საშტატო ერთეულის დამატების გამო , სახელფასო ფონდის შესავსებად საჭიროა წლის ბოლომდე 7745 ლარის დამატება, ხოლო ორგანიზაციას ნორმალური ფუნქციონირებისათვის ესაჭიროება 8 350 ლ.(საოფისე, კონდიცირება, ვიდეოკამერა, სარემონტო, და სხვა გასაწევი ხარჯები) ე.ი. მთლიანი თანხა 16 095 ლარი.

დაადგინეს: საკითხი გათვალისწინებული იქნას მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

ზურაბი ონიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სოციალურ საკითხთა კომისია-სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე